სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი

№01-04/32 ბრძანება 28-06- 2018 წელი

2018-2019 სასწავლო წლისათვის დეპარტამენტებისა და პროფესორ-მასწავლებელთა ინდივიდუალური სასწავლო დატვირთვების მომზადების, სასწავლო დამხმარე პერსონალის სასწავლო და სამეცნიერო -კვლევითი მუშაობაში ორგანიზებულად ჩართვის შესახებ

2018-2019 სასწავლო წლისათვის დეპარტამენტებისა და პროფესორ-მასწავლებელთა ინდივიდუალური სასწავლო დატვირთვების მომზადების, სასწავლო დამხმარე პერსონალის სასწავლო და სამეცნიერო-კვლევით მუშაობში ორგანიზებულად ჩართვის მიზნით ვბრძანებ:

1. გაუქმდეს უნივერსიტეტის რექტორის 2017 წლის 17 მაისის ბრძანება № 01-04/27 2017-2018 სასწავლო წლისათვის დეპარტამენტებისა და და პროფესორ მასწავლებელთა ინდივიდუალური სასწავლო დატვირთვების მომზადების შესახებ.
2. გაუქმდეს უნივერსიტეტის რექტორის 2016 წლის 11 ოქტომბრის ბრძანება № 01-04/ 71 2016 - 2017 სასწავლო წლისათვის სასწავლო დამხმარე პერსონალის სასწავლო და სამეცნიერო - კვლევით მუშაობაში ორგანიზებულად ჩართვის შესახებ.
3. დამტკიცდეს დეპარტამენტებისა და პროფესორ-მასწავლებელთა ინდივიდუალური სასწავლო დატვირთვების ამსახველი სასწავლო რეკვიზიტის ფორმები (თან ერთვის).
4. **ფაკულტეტების დეკანებმა, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურების უფროსებმა და დეპარტამენტების ხელმძღვანელებმა:**

4.1 საგანმანათლებლო პროგრამების ხელმძღვანელებთან შეთანმებით 2018 წლის 3 ივლისამდე სასწავლო პროცესის მართვის სამსახურს წარუდგინონ აწსუ-ს აკადემიური საბჭოს მიერ დამტკიცებულ საგანმანათლებლო პროგრამებთან სრულ შესაბამისობაში მოყვანილი კურსების სასაწავლო გრაფიკები დადგენილი ფორმით (ყველა პარამეტრის შევსება აუცილებელია).

4.2.უზრუნველყონ სტუდენტთა ინფორმირება არჩევით სასწავლო კურსებზე და ასათვისებლად დავალიანებაში დარჩენილი წინა სემესტრის სასწავლო კურსებze დარეგისტრირების შესახებ;

4.3. საგანმანათლებლო პროგრამების არჩევით კომპონენტებზე პირველ სასწავლო წლის სტუდენტების განაწილება/ჯგუფების დაკომპლექტება განახორციელონ არაუგვიანეს 2018-2019 სასწავლი წლის დაწყებიდან 10 დღის ვადაში;

4.4. დეპარტამენტებთან შეთანხმებით, სასწავლო პროცესის მართვის სამსახურში 2018 წლის 5 ივლისამდე დეპარტამენტების მიხედვით წარმოადგინონ 2018-2019 სასწავლო წლის საერთო სავარაუდო სასწავლო დატვირთვები;

4.5. პროფესორ-მასწავლებელთა ინდივიდუალური სასწავლო დატვირთვების შედგენისას ფაკულტეტის დეკანებმა და დეპარტამენტის ხელმძღვანელებმა გაითვალისწინონ, როგორც წესი, ლექციის წაკითხვის უფლება ეძლევათ დოქტორის აკადემიური ხარისხის მქონე პირებს.

გამონაკლისი შეიძლება დაშვებულ იქნეს დეპარტამენტის შუამდგომლობის საფუძველზე შესაბამისი ფაკულტეტის საბჭოს გადაწყვეტილებით და რექტორის თანხმობით.
4.6. იმ შემთხვევაში, როდესაც დეპარტამენტის ყველა წევრს აქვს მაქსიმალური დატვირთვა და სასწავლო დატვირთვის მოცულობა აჭარბებს დეპარტამენტის წევრების ინდივიდუალური სასწავლო დატვირთვების ნორმით დადგენილი მოცულობის ჯამს, სათანადო დასაბუთების შემთხვევაში, შტატის ზემოთ შესრულებული საათები ანაზღაურდება საათობრივად, აწსუ აკადემიური საბჭოს მიერ დადგენილი ნორმატივების შესაბამისად;
4.7. შტატის ზემოთ დარჩენილი საათების შესასრულებლად შესაძლებელია შტატით მომუშავე პერსონის საათობრივი წესით მოწვევა ერთი სასწავლო წლის ვადით. გამონაკლის შემთხვევაში, როდესაც შტატით მომუშავე აკადემიური პერსონალის სასწავლო დატვირთვა არ არის მაქსიმალური, მაგრამ წასაკითხია, ისეთი საგანი ან სპეციალური კურსი, რომლის ჩატარება დეპარტამენტის წევრებს არ შეუძლიათ, დასაშვებია შესაბამისი კომპეტენციის მქონე პირის მოწვევა საათობრივი ანაზღაურების წესით აწსუ აკადემიური საბჭოს მიერ დადგენილი ნორმატივების დაცვით.
4.8.ლექცია, ლაბორატორიული, ჯგუფური და პრაქტიკული მეცადინეობის ჩასატარებლად გარეშე პირთა მოწვევა არ შეიძლება. გამონაკლისი დაიშვება მხოლოდ განსაკუთრებულ შემთხვევაში, ფაკულტეტის დეკანის (ფაკულტეტის საბჭოს გადაწყვეტილების საფუძველზე) დასაბუთებული შუამდგომლობით და უნივერსიტეტის რექტორის თანხმობით, თუ ამას მოითხოვს საგნის სპეციფიკა.
4.9. ჯგუფური მუშაობის, პრაქტიკული და სემინარული მეცადინეობების ჩატარების, სასწავლო, საწარმოო და პედაგოგიური პრაქტიკების ხელმძღვანელობის უფლება ეძლევა აწსუ სასწავლო დამხმარე პერსონალის შემდეგ კატეგორიებს:

ა. იმ თანამშრომლებს, რომელთაც მინიჭებული აქვთ დოქტორის აკადემიური ხარისხი ან არიან აწსუ-ს დოქტორანტები;

ბ. საქართველოს აკრედიტებული უმაღლესი სასწავლებლების დოქტორანტებს, რომელთა მიერ შესრულებული სამუშაოს ანაზღაურება მოხდება აწსუ-ში დადგენილი პედაგოგთა საათობრივი ანაზღაურებით მოწვევის წესის მიხედვით;

გ. შესაბამისი პრაქტიკული გამოცდილების მქონე იმ სასწავლო დამხმარე პერსონალს, რომლებიც ვერ ხვდებიან ამ ბრძანების 4.9. პუნქტის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტებით განსაზღვრულ კატეგორიაში, მაგრამ რომელთა მიმართ არსებობს შესაბამისი ფაკულტეტის დეკანის დასაბუთებული შუამდგომლობა (გამყარებული ფაკულტეტის საბჭოს გადაწყვეტილებით) და უნივერსიტეტის რექტორის თანხმობა. ასეთ შემთხვევაში მათთან საათობრივად მოწვევის ბრძანება გაფორმდეს აწსუ აკადემიური საბჭოს მიერ დადგენილი ნორმატივების მიხედვით და მათი შრომის ანაზღაურება მოხდეს აწსუ-ში დადგენილი პედაგოგთა საათობრივი ანაზღაურების წესის მიხედვით;

დ. თუ ამ ბრძანების 4.9. პუნქტის „ა“, „ბ“ და „გ“ ქვეპუნქტებით განსაზღვრული პირობებისაგან განსხვავებული მოთხოვნების არსებობის შემთხვევაში, რომელთა მიმართ იარსებებს შესაბამისი ფაკულტეტის დეკანის დასაბუთებული შუამდგომლობა (ფაკულტეტის საბჭოს გადაწყვეტილების საფუძველზე) და უნივერსიტეტის რექტორის თანხმობა, მათი დაფინანსება მოხდეს შესაბამისი ფაკულტეტის ხარჯვითი ლიმიტიდან.
4.10. შიდა საუნივერსიტეტო შეთავსების კანდიდატთა და საათობრივად ანაზღაურების წესით მოსაწვევ პედაგოგთა საბოლოო სიები დეპარტამენტის ხელმძღვანელისა და შესაბამისი ფაკულტეტის დეკანის ხელმოწერით წარადგენილი იქნას სასწავლო პროცესის მართვის სამსახურის სასწავლო-მეთოდურ განყოფილებაში არა უგვიანეს 3 ივლისისა.
4.11. დეპარტამენტის საერთო და პროფესორ-მასწავლებელთა ინდივიდუალური სასწავლო დატვირთვების გაანგარიშება განხორციელდეს აწსუ-ს აკადემიური საბჭოს 2018 წლის 21 ივნისის № 101(17/18) დადგენილებით დადგენილი სასწავლო და სამეცნიერო - მეთოდური საქმიანობის ნორმატივების შესაბამისად.
4.12. უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურმა (მოვალეობის შემსრულებელი ასოც. პროფ. თეა კორძაძე) აკადემიურ საბჭოზე ახლად დამტკიცებული

საგანმანალებლო პროგრამების სასწავლო გეგმების (სათანადო დამოწმებით) ელექტრონული ვერსია მიაწოდოს სასწავლო პროცესის მართვის სამსახურს.

4.13. სასწავლო პროცესის მართვის სამსახურმა (პროფ. ი. ბასილაძე) აკადემიური საბჭოს მიერ დამტკიცებული საგანმანათლებლო პროგრამების შესაბამისად, ფაკულტეტის დეკანატებიდან და დეპარტამენტებიდან წარმოდგენილი მასალების საფუძველზე, უზრუნველყოს აწსუ-ს დეპარტამენტების საერთო და პროფესორ-მასწავლებელთა ინდივიდუალური სასწავლო დატვირთვების დაზუსტება და შესაბამისად უნივესიტეტში შესასრულებელი სამუშაოს მოცულობის დადგენა 2018-2019 სასწავლო წლისათვის.

5. კანცელარიის უფროსმა (ე. ცირეკიძემ) და მარკეტინგის, პროექტების და ღონისძიებების მართვის სამსახურის უფროსმა (ასოც. პროფ. თ. ვალიშვილი) უზრუნველყონ ბრძანების განთავსება უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე.

6. კონტროლი აღნიშნული ბრძანების პრაქტიკულ განხორციელებაზე დაევალოს რექტორის მოადგილეს ასოც. პროფ. შალვა კირთაძეს.

საფუძველი: აწსუ-ს აკადემიური საბჭოს 2018 წლის 21 ივნისის დადგენილება №101(17/18).

რექტორი — პროფესორი გიორგი ღავთაძე

სასწავლო პროცესის მართვის სამსახურის უფროსი — პროფესორი იმერი ბასილაძე